

**ა(ა)პ პროფესიული კოლეჯის „იკაროსი“ პროფესიულ სტუდენტთა მიერ საწარმოო
პრაქტიკის გავლის დებულება**

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

წინამდებარე წესი განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის მიერ საწარმოო პრაქტიკის გავლასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო და მეთოდურ საკითხებს

მუხლი 2. პრაქტიკის მნიშვნელობა, მიზანი და ამოცანები

1. საწარმოო პრაქტიკის მიზანია სტუდენტებში განავითაროს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენების პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ხელი შეუწყოს სამუშაო გარემოში მათ ადაპტაციას. ამასთან, პრაქტიკა მიზნად ისახავს სტუდენტთა ხელშეწყობას პრაქტიკის ობიექტებში დასაქმების კუთხით.

2. პრაქტიკის მსვლელობისას პროფესიულმა სტუდენტმა უნდა შეძლოს სასწავლო პროცესში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება და საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბება.

3. პრაქტიკის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით, კოლეჯის ახორციელებს შემდეგ საფეხურებს:

- ა) ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება საწარმოებთან /ორგანიზაციებთან;
- ბ) სტუდენტთა განაწილება საწარმოებში/ორგანიზაციებში მათი სურვილისა და სპეციალიზაციის შესაბამისად;
- გ) ხელშეკრულების გაფორმება საწარმოებთან /ორგანიზაციებთან;
- დ) სტუდენტთა პრაქტიკის წარმართვა წინასწარ შედგენილი და დამტკიცებული შესაბამისი საგნის სილაბუსისა და ჩარჩო დოკუმენტის გათვალისწინებით;
- ე) პრაქტიკის განხორციელების პროცესში ნებისმიერი ინიციატივის მხარდაჭერა, რომელიც მიმართული იქნება სტუდენტების პროფესიულ დახელოვნებასა და შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე.

მუხლი 3. საწარმოო პრაქტიკის განხორციელების ძირითადი პრინციპები

1. საწარმოო პრაქტიკის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ კოლეჯსა და საწარმოო პრაქტიკის ობიექტს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების საფუძველზე.

2. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის მხარეები ადასტურებენ პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავების საქმეში თანამშრომლობის სურვილს და აღნიშნულის

განსახორციელებლად და ერთობლივი ძალისხმევით უზრუნველყოფენ კოლეჯის პროფესიული სტუდენტების სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის ჩატარების ხელშეწყობას.

3. საწარმოო პრაქტიკის ობიექტის წინასწარ შერჩევა ხორციელდება საწარმოო პრაქტიკის პროფესიული განათლების მასწავლებლის, სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერისა და პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის წინასწარი მოკვლევის საფუძველზე.

4. პრაქტიკის ობიექტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- ა) უზრუნველყოს შესაბამის საგნის/მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა;
- ბ) უზრუნველყო პროფესიული სტუდენტებისთვის ადეკვატური, უსაფრთხო და შესაბამისი ინფრასტრუქტურის გარემო;
- გ) მონაწილეობა მიიღოს სტუდენტის შეფასების პროცესში.

5. პრაქტიკის დაწყებამდე პრაქტიკის ხელმძღვანელი სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას:

- ა) მისაღწევი სწავლის შედეგების/კომპეტენციების შესახებ;
- ბ) პრაქტიკის ვადებისა და კონკრეტული გრაფიკის შესახებ;
- გ) პრაქტიკის დღიურის წარმოების წესის შესახებ;
- დ) საწარმოო პრაქტიკის შეფასების კრიტერიუმების შესახებ.

6. სტუდენტის მიერ პრაქტიკის გავლაზე კონტროლს ახორციელებს კოლეჯის სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი.

7. პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტთა გამოცხადება და მათი საქმიანობა აღირიცხება თარიღების მიხედვით პრაქტიკის დღიურში, რომელსაც აწარმოებს მენტორი ანუ საწარმოს მხრიდან დანიშნული პირი, რომელიც პასუხისმგებელია საწარმოში სტუდენტის მიერ პრაქტიკის გავლაზე.

8. სტუდენტი ვალდებულია კოლეჯში დაბრუნების შემდეგ პრაქტიკის შეფასებისთვის წარმოადგინოს პრაქტიკის დღიური.

მუხლი 4. საწარმოო პრაქტიკის ორგანიზება

1. საწარმოო პრაქტიკის ობიექტებზე სტუდენტთა განაწილებას ახორციელებენ სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი და პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი პროფესიული განათლების მასწავლებლის რეკომენდაციის გათვალისწინებით.

2. სსსმ პროფესიული სტუდენტების საწარმო პრაქტიკის ობიექტზე განაწილება ხორციელდება ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის აქტიური ჩართულობით.

3. საწარმოო პრაქტიკას ხელმძღვანელობს სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი რომელიც მოვალეა:

- ა) უზრუნველყოს პრაქტიკის ორგანიზება;
- ბ) მოახდინოს სტუდენტების ინფორმირება პრაქტიკის შინაარსისა და ფორმის თაობაზე;
- გ) აწარმოოს სტუდენტთა საქმიანობის მონიტორინგი საწარმოო ობიექტზე.

4. საწარმოო პრაქტიკის ობიექტი გამოყოფს მენტორს, რომელიც:

- ა) პრაქტიკის ობიექტში სტუდენტებზე ახორციელებს ზედამხედველობას, აცნობს პრაქტიკის ობიექტს და აწვდის ინფორმაციას უსაფრთხოების წესებისა და ეთიკის ნორმების შესახებ;
- ბ) აწარმოებს პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტთა გამოცხადების აღრიცხვას.

მუხლი 5. ბრძანების მომზადება პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკის ობიექტებზე გადანაწილების შესახებ

1. პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკის ობიექტებზე გადანაწილების შესახებ გამოიცემა ბრძანება კოლეჯის დირექტორის მიერ, საწარმოო პრაქტიკის დაწყებამდე.
2. ბრძანებაში ასახული უნდა იყოს საწარმოო პრაქტიკის დაწყების თარიღი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, ჯგუფის ნომერი და პროფესიულ სტუდენტთა სახელობითი სია.
3. პროფესიული სტუდენტის მხრიდან ინიცირების შემთხვევაში, შესაძლებელია, კონკრეტული პროფესიული სტუდენტის საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებით პრაქტიკის ობიექტთან გაფორმდეს შესაბამისი ინდივიდუალური მემორანდუმი.
4. საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში, როცა ვერ ხერხდება პროფესიულ სტუდენტის მიერ საწარმოო პრაქტიკის გავლა დადგენილ ვადაში, პროფესიული სტუდენტის განცხადების საფუძველზე, შესაძლებელია, საწარმოო პრაქტიკა გადატანილ იქნეს გონივრული ვადით.

მუხლი 6. პრაქტიკის დღიურის წარმოების წესი

1. პრაქტიკის მანძილზე სტუდენტმა უნდა აწარმოოს ყოველდღიური აქტივობების აღწერა პრაქტიკის დღიურში (დანართი 1), ჩაინიშნოს მონაცემები, აღწეროს შესრულებული სამუშაო და ის სიახლეები, რომელსაც იგი გაეცნო პრაქტიკის პროცესში, შესაბამისი მაგალითების მოშველიებით დააფიქსიროს მიღწეული შედეგები.
2. საწარმოო პრაქტიკის დამთავრების შემდეგ პროფესიული სტუდენტი სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს წარუდგენს სათანადო წესით გაფორმებულ დღიურს.
3. საწარმოო პრაქტიკის დღიური დამოწმებულია კოლეჯის დირექტორის ხელმოწერითა და ბეჭდით.

მუხლი 7. საწარმოო პრაქტიკის შეფასება

1. საწარმოო პრაქტიკის დამთავრების შემდეგ ტარდება დასკვნითი გამოცდა (საწარმოო პრაქტიკის გამოცდა).
2. საწარმოო პრაქტიკის შეფასება ხდება ქულათა სისტემით და მაქსიმალური შეფასება არის 100 ქულა (აქედან საწარმოო პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტის სწავლის შედეგები ფასდება მაქსიმუმ 60 ქულით, ხოლო საწარმოო პრაქტიკის გამოცდა ფასდება 40 ქულით), ხოლო ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში კრედიტების განაწილების, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობის (დატვირთვის) და პროფესიული სტუდენტის მიღწევის შეფასების წესი განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საწარმოო პრაქტიკის მოდულით.